მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული
დაგეგმარების საკითხთა
კომისიის სხდომა

ოქმი №10

ქ. მარტვილი 26 დეკემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე, დამთავრდა 14:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: შალვა ბახია, ლევან სურმავა, კობა დარჯანია, ზურაბ მელიავა, შალვა თაფლაძე, ზაურ ჯახუა, ელდარი თოდუა.
სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა ბახია.
სხდომის თავმჯდომარემ შალვა ბახიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი-შალვა ბახია, საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

2. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სს ,,სილქნეტი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი-შალვა ბახია, საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ბახიას მოხსენება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიამ კენჭისყრის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება:
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ საკითხი საკითხი და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ბახიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სს ,,სილქნეტი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ საკითხი ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების იჯარის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით სს ,,სილქნეტისთვი'' გადაცემას. სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიამ კენჭისყრის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება:
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სს ,,სილქნეტი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: შალვა ბახია